



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ო №14

ქალაქი ბათუმი

2020 წლის 23 დეკემბერი  
11<sup>00</sup> საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
თავმჯდომარე - სულიკო თებიძე

მ ს შ რ ე ბ ო ღ ნ ე ნ :

- |                      |   |
|----------------------|---|
| თამაზ სალუქვაძე      | - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;   |
| გოჩა მგელაძე         | - საკრებულოს ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის თავმჯდომარე;                         |
| დimitრი ჭეიშვილი     | - საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;                   |
| ირაკლი პატარიძე      | - საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;  |
| ზურაბ ნაკაიძე        | - საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისიის თავმჯდომარე;                |
| ნატალია ზოიძე        | - საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე;           |
| ბესარიონ გოგოტიშვილი | - საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე; |
| ნატალია ძიძიგური     | - საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - კონსერვატორები“ თავმჯდომარე;                    |

ნერიმან ცინცაძე	- საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - კონსერვატორები“ თავმჯდომარის მოადგილე;
ანზორ დევაძე	- საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - მრეწველები“ თავმჯდომარე;
დავით მახარაძე	- საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - მრეწველები“ თავმჯდომარის მოადგილე;
რაულ თავართქილაძე	- საკრებულოს ფრაქციის „ბათუმი“ თავმჯდომარე;
არჩილ მამულაძე	- საკრებულოს ფრაქციის „ბათუმი“ თავმჯდომარის მოადგილე;
ირაკლი თოფურიაძე	- საკრებულოს წევრი;
თამაზ დევაძე	- საკრებულოს წევრი;
ელგუჯა ანდრიაძე	- საკრებულოს წევრი;
<b>არ ესწრებოდნენ:</b>	
მირდატ ქამადაძე	- საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარე;
ნოდარ დუმბაძე	- საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილე;
ომარ მახარაძე	- საკრებულოს წევრი;
თემურ კახიძე	- საკრებულოს წევრი;
მუხამედ ართმელაძე	- საკრებულოს წევრი;
გელა დეკანაძე	- საკრებულოს წევრი;
ლევან ანთაძე	- საკრებულოს წევრი.

### **სხდომას ესწრებოდნენ:**

- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ვიცე-მერი, მერის მოვალეობის შემსრულებელი - არჩილ ჩიქოვანი;

- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი - ნუკრი დეკანაძე;

- ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - ედნარ ნატარიძე;

- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი - მირიან მეტრეველი;

- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - დავით კოპინაძე;

- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის უფროსი - ეთერ ლომაძე;

- განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი - მერაბ ქიძინიძე;

- ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი - სოფიო მიქელაძე;

**ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოქმედი რეგლამენტით გათვალისწინებული საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეები:**

- საკრებულოს აპარატის უფროსი - რაულ ბოლქვაძე;

- იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი თავართქილაძე;

- საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - მადონა თურმანიძე;

- საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - მზევინარ წულუკიძე;

- მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი - ლელა ნემსაძე;

- მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - ბადრი წულუკიძე.

პრესისა და მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე - სულიკო თებიძე მიესალმა დამსწრე-საზოგადოებას და წარმატებული დღე უსურვა, ასევე მან აღნიშნა, რომ საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე განსახილველად წარმოდგენილია 4 სამართლებრივი აქტის პროექტის განხილვა, მიმართა კოლეგებს დღის წესრიგის გარშემო, პროცედურულ საკითხთან დაკავშირებით წინადადებების არსებობის თაობაზე, რასთან დაკავშირებითაც საკრებულოს წევრებს არ გამოუთქვამთ წინადადება.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ სხდომის მონაწილეებს, საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი:

### დ დ ი ს წ ე ს რ ი გ ი :

**საკითხი 1.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 დეკემბრის N35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ედნარ ნატარძე)

**საკითხი 2.** „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ.ბათუმში, დ.თავდადებულის ქ. №61-ში მდებარე უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

**საკითხი 3.** „მრავალშვილიანი ოჯახების საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

**საკითხი 4.** „მრავალშვილიანი ოჯახებისათვის საცხოვრებელი ბინების საკუთრების უფლებით გადაცემის თაობაზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

**სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი დღის წესრიგი, დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 17

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 17  
წინააღმდეგი - 0

**სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ საკრებულოს წევრებს მიმართა საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით მოკლე განცხადებების გაკეთების შესაძლებლობის თაობაზე და საკრებულოს აპარატს დაავალა ყველა განცხადების ოქმის სახით გადაგზავნა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში.**

**საკრებულოს წევრი - რაულ თავართქილაძე -** მიესალმა კოლეგებს და აღნიშნა, რომ ტელევიზიით გაიგო გრიპის ვაქცინაციის თაობაზე, რომელიც წარმატებით მიმდინარეობს. რისკის ჯგუფებში შემავალ პიროვნებებს მოუწოდებს გაკეთებას, რომელიც მნიშვნელოვანია. ასევე რისკის ჯგუფის გარდა არიან ადამიანები, სოციალური ჯგუფის წარმომადგენლები, რომლებიც საჭიროებენ ვაქცინაციას, რომელიც მათვისაც ხელმისაწვდომი უნდა იყოს.

**საკრებულოს წევრი - დიმიტრი ჭეიშვილმა** აღნიშნა, რომ ახალი სპორტსკოლის მიმდებარე ტერიტორია მოწესრიგდა და სატვირთო და სპეცტექნიკიდან გათავისუფლდა, თუმცა კიდევ შეიმჩნევა მანქანები, რის გამოც მიმართა თხოვნით მერიას მკაცრი კონტროლისკენ. ანალოგიური პრობლემაა დღესაც ე.წ. ტაქსოპარკის მიმდებარე ტერიტორიაზე ბაგრატიონის ქუჩის მხრიდანაა, ქუჩა დამახინჯებულია, გაჩერებულია ამორტიზირებული მანქანები.

**საკრებულოს წევრი - არჩილ მამულაძე** მიესალმა და აღნიშნა, რომ წერილობით შემოაქვს ინიციატივა პარკირების საკითხის მოწესრიგების თაობაზე.

**საკრებულოს წევრი - ნატალია ზოიძე** მიესალმა და აღნიშნა, რომ მუნიციპალურმა ინსპექციამ სერიოზული შედეგი დადო გარე ვაჭრობასთან დაკავშირებით, მაგრამ აღნიშნულმა გართულებულმა პერიოდმა, დესტრუქციული ოპოზიციის ძალისხმევა მუდმივად დამოუღრჩილებლობისკენ მოუწოდებს მოქალაქეებს და შესაბამისად წერეთლის ქუჩიდან ხშირია განსაკუთრებით საყვედურები. ქალაქ ბათუმის მერია მუშაობს გარე ვაჭრობის საკითხთან დაკავშირებით რეგულაციებზე.

**საკრებულოს წევრი - დავით მახარაძე** მიესალმა და აღნიშნა, რომ 2020 წელი პანდემიიდან გამომდინარე რთული წელი იყო, მაგრამ მაქსიმალურად ხელისუფლებამ გააკეთა ის, რომ ქვეყანა და ქვეყნის ხელისუფლება მინიმალური ზარალით გამოსულიყო, ასევე დაახლოებით ორი დღის წინ დაანონსდა, რომ 5200 ბენეფიციარს ურიგდება სურსათ-სანოვაგე და კალათა საახალწლოდ, თუმცა 10000 -მდე გაიზრდება ბენეფიციარი. მან მოსახლეობას დამდეგი 2021 წელი მიულოცა.

ქალაქ ბათუმის მერის მოვალეობის შემსრულებელმა არჩილ ჩიქოვანმა დასმულ შეკითხვებს უპასუხა და აღნიშნა, რომ ვაქცინაციასთან დაკავშირებით გაივლის კონსულტაციას ჯანდაცვის სამინისტროსთან, საზოგადოებრივი ჯანდაცვის მეთვალყურეობით ვაქცინაცია მიმდინარეობს წარმატებით და არანაირი შეფერხებები არ არის. ასევე ქალაქის ტერიტორიაზე სატვირთო ავტომანქანების უნებართვოდ გაჩერებასთან დაკავშირებით პანდემიის მეორე ტალღა და ეკონომიური საქმიანობის შეზღუდვა მნიშვნელოვან წილად გამოიწვია ჩვენი თანამოქალაქეების საზღვრებზე მიმოსვლა, ასევე შიდა სატვირთო ბრუნვის შემცირება, რამაც გამოიწვია მათ ფლობაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების გაჩერება, წინა პერიოდში საკმაოდ ეფექტურად მიმდინარეობდა ამ მიმართულებით მუშაობა, ამ ეტაპზეც გრძელდება სამუშაო, მუნიციპალურ ინსპექციას აქვს შესაბამისი ადგილი გამოყოფილი პარკირებისათვის და შესაძლებელია მსგავსი ტიპის სატრანსპორტო საშუალებების გადაყვანა, რითაც არ შეიზღუდება საზოგადოებრივი სივრცეები. რაც შეეხება საპარკინგე სივრცეების მოწყობის საკითხს, ასევე ჭკვიანი სატრანსპორტო სისტემის მოწყობის საკითხს, ამასთან დაკავშირებით პარტნიორებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად აქვთ გარკვეული ტიპის კონსულტაციები, ელოდებიან შესაბამის საექსპერტო კვლევებს თუ სად რა პარამეტრებით შეზღუდვა იქნება ახალი საპარკინგე სივრცეების გაჩენა და ამავდროულად ჭკვიანი სატრანსპორტო სისტემის სრულყოფა, რითაც მოხდება სატრანსპორტო ნაკადის ეფექტური მართვა და შესაბამისად, საპარკინგე სივრცეები მნიშვნელოვნად გამოსასწორებელია. გარე ვაჭრობის მოწესრიგებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მუნიციპალურ ინსპექციასთან ერთად ჩართული არიან კერძო სექტორთან ერთად, რომლებსაც შესაბამისი ბაზრობები და კომერციული სივრცეები გააჩნია, რათა დაბალი ტარიფებით მოხდეს ამ ადამიანების დაშვება, მათ სავაჭრო სივრცეებში რეგულაციების სრული დაცვით, რათა დაცული იქნას ყველა ის მოთხოვნა.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ განაცხადა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყების და სხდომის განახლების თაობაზე.

მოიხმინეს: საკითხი 1. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 დეკემბრის N35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ედნარ ნატარიძე)

მომხსენებელი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ 2020 წლის 11 მარტს ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ახალი კორონავირუსი (COVID -19) პანდემიად გამოაცხადა. ახალი კორონავირუსის (COVID-19) მასობრივი გავრცელების, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ გამოცხადებული პანდემიისათვის მზაობისა და ქვეყნის წინაშე არსებული მზარდი გამოწვევის გათვალისწინებით, იმისათვის, რათა სახელმწიფომ შეასრულოს კონსტიტუციური ვალდებულება - უზრუნველყოს დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი

საზოგადოებრივი უსაფრთხოება და ქვეყნის მოსახლეობის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მოსალოდნელი საფრთხის შემცირება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე დაწესდა რიგი შეზღუდვები, მათ შორის რიგი ეკონომიკური საქმიანობები, რომელმაც თავის მხრივ შეანელა ეკონომიკური პროცესები, რომლის შესაბამისადაც შემცირდა გადასახადებიდან და მოსაკრებლებიდან მისაღები შემოსავლები. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული ასიგნებების შეუფერხებლად დაფინანსების მიზნით "ახალი კორონავირუსის (COVID-12) პანდემიიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტისათვის ფინანსური დახმარების გამოყოფის შესახებ)" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 19 აგვისტოს №1570 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 18 დეკემბრის №2535 განკარგულებით გამოყოფილ იქნა ფინანსური დახმარება. ასევე ფაქტიური შესრულებების მაჩვენებლების გათვალისწინებით კორექტირებულ იქნა რიგი პროგრამები და ქვეპროგრამები. შესაბამისად ცვლილებები შეეხო ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შემოსულობებს და გადასახდელების ცალკეული პროგრამებს/ქვეპროგრამებს;

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით მცირდება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შემოსულობები - 4,790,470 ლარით. წარმოდგენილი პროექტის მიხედვით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის გადასახდელები მცირდება - 4,790,470 ლარით. წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს რესურსების ოპტიმალურ გადანაწილებას სხვადასხვა სფეროებზე, რაც საბოლოო ჯამში გააუმჯობესებს ქ. ბათუმის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას;

## ა ზ რ ი

### გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

საკრებულოს წევრმა დიმიტრი ჭეიშვილმა დასვა შეკითხვა ბალნოლოგიური მომსახურება შშმ-პირებისთვის და ვეტერანებისთვის ამოღებული იქნა, რადგან მერიამ გასცა ვაუჩერები და მოქალაქეებმა ვერ მოახერხეს ვაუჩერებით სარგებლობა კონკრეტული პირადი მიზეზების გამო, სხვა დარჩენილ ნაწილში პროგრამების ამოღების საკითხზე განმარტება მოითხოვა, რაზედაც **მომხსენებელმა განმარტა**, რომ მუნიციპალიტეტის მიერ აღებული ვალდებულებით მთლიანად იქნა კომპესირებული ტრანსფერისა და შემოსავლების კუთხით, რაც გვაქვს და რაც უნდა მივიღოთ 31 დეკემბრით. წარმოდგენილი ცვლილებები არ ეხება კონკრეტულად რომელიმე ბენეფიციარის რაოდენობის შემცირებას, აქ არის რიგი ფაქტორები, კერძოდ, ინდივიდუალური დახმარების, ოპერაციული კუთხით დარჩა რესურსი, დაწესებულებები არ ატარებდნენ გეგმიურ ოპერაციებს, შესაბამისად მოქალაქეთა მომართვიანობა ვერ განხორციელდა. ყველა შემცირება გამოყენებულია ფაქტიური გარემოებების გათვალისწინებით.

**საკრებულოს წევრმა არჩილ მამულაძემ** დასვა შეკითხვა შეჩერებული და ამოღებული პროგრამების ციფრთან დაკავშირებით, რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ ბიუჯეტიდან 4 მილიონ 780 ათასი ლარია ამოღებული.

**საკრებულოს წევრმა რაულ თავართქილაძემ** აღნიშნა, რომ ხელისუფლების მხრიდან მიმდინარე წლიდან დაანონსებული იყო, რომ უნდა აშენებულიყო ქალაქში საცურაო აუზი, რომელიც მნიშვნელოვანია ჩვენი ქალაქისთვის კლიმატური პირობებიდან გამომდინარე.

**საკრებულოს წევრმა ნატალია ზოიძემ** აღნიშნა, რომ სატელევიზიო ჩართვისას ოპონენტებმა არჩიეს ქუჩაში ყოფნა და არა სხდომათა დარბაზში, დარწმუნებულია იგივე თემებს გააჟღერებდნენ აქ. თავს ვალდებულად თვლის, რომ მათ მიერ რამდენიმე ისეთ საკითხზე გამახვილებულიყო ყურადღება, მათ მოსახლეობა შეცდომაში ჰყავთ შეყვანილი, პირველი - ფრაქციის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მათ არჩიეს გარეთ ყოფნა, რათა ჩვენ ვიყოთ მარტო დარბაზში, თუმცა მარტო არ არიან, 6 სუბიექტი შემოვიდა პროპორციული სისტემით, 3 ქართული ოცნებიდან და 3 ნაცმოძრაობა, ევროპული საქართველო თუ პატრიოტთა ალიანსი, დღესდღეობით სახეზეა ოცნების 3 სუბიექტი საკრებულოს შემადგენლობაში, ამავე დროს ვერავინ ვერ დასდებს ბრალს საკრებულოს წევრებს არჩილ მამულაძეს და რაულ თავართქილაძეს, რომ ისინი არიან პარტია „ქართული ოცნების“ წევრები. მათი აქტივობა ჩანს, ვერც ვერავინ დასდებს ბრალს საკრებულოს იმაში, რომ რაიმეთი ეს ადამიანები შეზღუდული არიან საკუთარი მოსაზრებების, კრიტიკის წარმოთქმაში, პირიქით ეს არის ნორმალური საქმიანობა და აქ უნდა წყდებოდეს ქალაქის პრობლემური საკითხები. მიმართა მომხსენებელს, რომ 151 მილიონ 264 ათასი სასტარტო-საშემოსავლო პროგნოზი იყო 2020 წლის ბიუჯეტის და წელს მთავრდება 154 მილიონით, ანუ აქ არანაირი კლება არ ჩანს, თუმცა დესტრუქციული ოპოზიცია ტელევიზიით აჟღერებდა, რომ ამ მხრივ კატასტროფაა. ყველა ინფრასტრუქტურული პროექტი მოსახლეობის სურვილით კეთდება. ასევე მან დასვა კითხვა ანტიკრიზისული გეგმის შესახებ.

**მომხსენებელმა განმარტა**, რომ ანტიკრიზისული გეგმა ეკონომიკური კონცეფციიდან გამომდინარე ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტას საჭიროებს, სიღრმისეულ ცოდნას



და კონკრეტულ დეტლიზაციას, რომელსაც საკმაოდ მნიშვნელოვანი ინდიკატორები და გადაწყვეტილებები და სამუშაო სპეციფიკა სჭირდება. ყველა ის პოლიტიკა, რასაც ცენტრალური ხელისუფლება თავისი რეგიონალური ხელისუფლებით მუნიციპალიტეტების დონეზე ატარებს, სწორედ ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკა. რაც შეეხება ბიუჯეტთან მიმართებაში, ბიუჯეტის შემცირება არ გულისხმობს კონკრეტულად რომელიმე ღონისძიების ამოღებას და დამატებას. მაქსიმალურად მიღებული შემოსავლების გათვალისწინებით ეფექტი იქნა გაკეთებული ჯანდაცვის, სოციალური მიმართულებით და ყველა ის ინფრასტრუქტურული და სერვისების მიწოდების კუთხით, რაც მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებაა.

**სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 17

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 17

წინააღმდეგი - 0

**და ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

საკრებულოს წევრმა არჩილ მამულაძემ რეპლიკის სახით თქვა, რომ საწყენია ისე ამთვრებენ მათ უფლებამოსილებას, რომ ბევრმა ვერ ისწავლა თუ რისთვის არის მობრძანებული და რა უნდა აკეთონ საკრებულოში, ასევე ვისი ნდობით აღჭურვილი პირები არიან. მისი ამდენი წლის განმავლობაში მის მიერ დასმული კითხვები კრიტიკულ, სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ქვეყნის, კუთხის ხალხისათვის თუ კამათი, ეს თუ ვერ აღიქვა ვიღაცებმა, რომ მათ ოპონირებას უწევენ. მან პარტია დატოვა იმისათვის, რომ სხვაგვარად ვერ გამოიყენეს.

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :** საკითხი 2. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ.ბათუმში, დ.თავდადებულის ქ. №61-ში მდებარე უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2020 წლის 14 დეკემბრის №2614/02 წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში შესულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2020 წლის 05 აგვისტოს №MES 9 20 0000663737 წერილი, რომლითაც დასმულია საკითხი სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, ქ. ბათუმში, დ. თავდადებულის ქ. N61-ში მდებარე, სსიპ კოლეჯი „ბლექსი“-ს (ს/ნ 245610398) სარგებლობაში არსებული 2755,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განლაგებული 2377,60 კვმ შენობა-ნაგებობის (ს/კ 05.28.05.007) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადაცემის თაობაზე, შემდგომში ახალი საჯარო სკოლის მშენებლობის მიზნით, აღნიშნულ ტერიტორიაზე ახალი საგანმანათლებლო სივრცის შესაქმნელად, რაც ხელს შეუწყობს არამარტო მიმდებარე ტერიტორიის მცხოვრებთა პრობლემის გადაჭრას, არამედ მნიშვნელოვნად განტვირთავს მთლიანად ბათუმის სკოლებში არსებულ მდგომარეობას. სამინისტროს შესაძლებლად მიაჩნია სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, ზემოთაღნიშნული უძრავი ქონების ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში გადაცემა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადასაცემად, ახალი საჯარო სკოლის მშენებლობის მიზნით და ითხოვა მისი ქ. ბათუმის მუნიციპალურ საკუთრებად აღრიცხვისათვის საჭირო პროცედურების განხორციელება. აღნიშნული ქონება იყო სახელმწიფოს საკუთრება და ზემოთაღნიშნული პროექტის განსახორციელებლად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის გადაცემის მიზნით სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2020 წლის 01 დეკემბრის N1/1-3635 ბრძანებით საკუთრებაში გადმოეცა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტს. შესაბამისად, იგი აღირიცხა მუნიციპალურ საკუთრებად.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა ითხოვს ქ. ბათუმში, დ. თავდადებულის ქ. №61-ში მდებარე 2755,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის (საკადასტრო კოდი: 05.28.05.007) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის საკუთრებაში გადაცემას ახალი საგანმანათლებლო სივრცის შესაქმნელად.

## **ზ რ ი**

### **გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:**

**საკრებულოს წევრმა ზურაბ ნაკაიძემ** მაძღობა გადაუხადა ამ საკითხთან დაკავშირებით, როგორც აჭარის ხელისუფლებას, ისე საქართველოს მთავრობას, მერიას, ქალაქის ცენტრში კარგი სკოლის აშენებისათვის.

**საკრებულოს წევრმა რაულ თავართქილაძემ** აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანი საკითხია, რომ ქალაქს სკოლა დაემატება მომავალი თაობის აღზრდისათვის.

საკრებულოს წევრმა ნატალია ზოიძემ აღნიშნა, რომ მისასაღმებელია ასეთი კარგ პროექტზე მხარდაჭერა. საგანმანათლებლო სისტემები სჭირდება ქალაქს და მადლობა გადაუხადა ყველას, ვისაც თავისი წვლილი აქვს შეტანილი პროექტის განსახორციელებლად.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ 2003 წელს აჭარაში ფუნქციონირებდა 349 სკოლა, 2005 წელს 249 სკოლა, 100 სკოლით ნაკლები, ეს კატასტროფაა. ერთ მშვენიერ დღეს 2 სკოლა იქნა დანგრეული, არ დაავიწყდება ის თვალცრემლიანი ბავშვები და მშობლები. 2012 წელს აჭარის ადგილობრივი ბიუჯეტი ინფრასტრუქტურული პროექტებისა დახლოებით 5-ჯერაა გაზრდილი თუ უფრო ნაკლებად არა. მისასაღმებელია, რომ ბათუმში 20 ახალი სკოლაა აშენებული.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 14

არ ესწრებოდა: 3 (ი.პატარიძე, ი.თოფურიძე, ა. დევამე)

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 14

წინააღმდეგი - 0

**და ა ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :**

საკითხი 3. „მრავალშვილიანი ოჯახების საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ შობადობის შემცირება უმეტესწილად ოჯახების განვითარებაში არსებული წინააღმდეგობებით არის განპირობებული, რის საფუძველსაც ძირითადად ოჯახის არასტაბილური სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა წარმოადგენს. არსებული პრობლემის დასაძლევად მუნიციპალიტეტის როლი

საერთო სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებასა და მრავალშვილიანი ოჯახების ხელშემწყობი პროგრამების შემუშავება-განხორციელებაში მდგომარეობს. მუნიციპალიტეტის საბინაო ფონდი იქმნება კანონმდებლობით დადგენილი წესით და მისი მიზანია სოციალური, ეკონომიკური, ქალაქთმშენებლობითი ან/და სხვა მსგავსი მუნიციპალური პროგრამების ფარგლებში საბინაო ფონდში არსებული ბინების შესაბამის ბენეფიციარებზე/პირებზე გადაცემა, განაწილება ან სხვაგვარად განკარგვა. პროგრამის ფარგლებში საცხოვრებელი ბინები გადაეცემათ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ (რეგისტრირებულ) ოჯახებს და იმ ოჯახებს, რომელთა ოჯახის უფროსი წევრებიდან (დედა ან/და მამა) ერთერთი რეგისტრირებულია ქალაქ ბათუმში და რომლებსაც ჰყავთ 7 (შვიდი) და მეტი შვილი შემდეგი პირობებით:

ა) პროგრამის ბენეფიციარი ოჯახი უზრუნველყოფილი იქნება 1 (ერთი) ან 2 (ორი) საცხოვრებელი ბინით საერთო ფართობით 100 კვმ-დან 130 კვმ-მდე. იმ ოჯახს, რომელსაც საკუთრებაში გააჩნია 100,0 კვ.მ.-ზე ნაკლები საცხოვრებელი ფართი, უზრუნველყოფილი იქნება 1 (ერთი) საცხოვრებელი ბინით, ასეთ შემთხვევაში საკუთრებაში არსებული ბინისა და გადასაცემი ბინის საერთო ჯამში არ უნდა იყოს 100 კვმ-ზე ნაკლები და 130 კვმ-ზე მეტი. პროგრამით სარგებლობა შეუძლიათ იმ მრავალშვილიან ოჯახებს, რომელთა უფროსი შვილის წლოვანება არ აღემატება 24 წელს. ნაშვილობის შემთხვევაში ნაშვილობის ასაკი უნდა შეადგენდეს არაუმეტეს 3 წელს. ოჯახს ბინა/ბინები გადაეცემა ოჯახის თითოეული წევრის თანასაკუთრებაში (მშობლები და შვილები);

ბ) ბინის/ბინების გადაცემა შესაძლებელია განხორციელდეს გარემონტებულ მდგომარეობაში ან გარემონტების მიზნით ბინის სარემონტო სამუშაოებისათვის მერიის მიერ ერთჯერადად შესაძლებელია გამოიყოს თანხა - 1 კვ. მ-ზე 250 (ორას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით; გ) პროგრამა არ ითვალისწინებს საცხოვრებელი ბინით/ბინებით იმ მრავალშვილიანი ოჯახების უზრუნველყოფას, რომლებსაც საქველმოქმედო ორგანიზაციის ან სახელმწიფო ორგანოების მიერ საკუთრებაში საცხოვრებელი ბინა უკვე გადაეცათ ან თუკი საკუთრებაში გააჩნიათ საცხოვრებელი ფართი 100,0 კვ.მ. და მეტი ფართობით. თანაბარი პირობების მქონე ოჯახებს შორის უპირატესობა მიენიჭება სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონე ოჯახს;

დ) პროგრამის ბენეფიციარ ოჯახს საკუთრების უფლების მოწმობის მიღებიდან მომდევნო 10 წლის განმავლობაში ეკრძალება საკუთრებაში გადაცემული ბინის/ბინების გაყიდვა, გაქირავება, უფლებრივად დატვირთვა ან სხვა ნებისმიერი ფორმით განკარგვა;

ე) პროგრამით სარგებლობა შეუძლიათ იმ მრავალშვილიან ოჯახებს, რომლებიც 2018 წლის 1 იანვრამდე დარეგისტრირდნენ მერიის შესაბამისი სამსახურის მონაცემთა ბაზაში.

**სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 17

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 17

წინააღმდეგი - 0

**და ა დ გ ი ნ ე ს :** მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს :**

საკითხი 4. „მრავალშვილიანი ოჯახებისათვის საცხოვრებელი ბინების საკუთრების უფლებით გადაცემის თაობაზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ დავით კოპინაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ გამოცემულია განკარგულება „მრავალშვილიანი ოჯახების საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“. აღნიშნული მუნიციპალური პროგრამის ფარგლებში საცხოვრებელი ბინები გადაეცემათ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ (რეგისტრირებულ) ოჯახებს და იმ ოჯახებს, რომელთა ოჯახის უფროსი წევრებიდან (დედა ან/და მამა) ერთერთი რეგისტრირებულია ქ. ბათუმში და რომლებსაც ჰყავთ 7 (შვიდი) და მეტი შვილი შემდეგი პირობებით: პროგრამის ბენეფიციარი ოჯახი უზრუნველყოფილი იქნება 1 (ერთი) ან 2 (ორი) საცხოვრებელი ბინით საერთო ფართობით 100 კვმ-დან 130 კვმ-მდე. პროგრამით სარგებლობა შეუძლიათ იმ მრავალშვილიან ოჯახებს, რომელთა უფროსი შვილის წლოვანება არ აღემატება 24 წელს. ნაშვილობის შემთხვევაში ნაშვილობის ასაკი უნდა შეადგენდეს არაუმეტეს 3 წელს. ოჯახს ბინა/ბინები გადაეცემა ოჯახის თითოეული წევრის თანასაკუთრებაში (მშობლები და შვილები).

პროგრამის ბენეფიციარ ოჯახს ბინა/ბინები გადაეცემა გარემონტებულ მდგომარეობაში; რაც გულისხმობს: მოწესრიგებული ფასადი და სახურავი; სან-ტექნიკური დანადგარები (ცივი წყალი, კანალიზაცია, ტრაპი); ჩართული საკომუნიკაციო ქსელები (ცივი წყალი, კანალიზაცია, ტრაპი); ბინის კონტურის კედლები; ბინის შიდა ტიხრები; ფანჯრები; კარები; ტიხრებისა და კონტურის კედლების შელესვა; შეღებილი შიდა კედლები; ელ. გაყვანილობა (თითო ოთახზე ორი ელ. წერტილი); ოთახებში დაგებული ლამინირებული პარკეტი; დამონტაჟებული შიდა კარები; კეთილმოწყობილი სამზარეულო (ავეჯის გარეშე); კეთილმოწყობილი სველი წერტილები ან გარემონტების მიზნით ბინის სარემონტო სამუშაოებისათვის მერიის მიერ ერთჯერადად შესაძლებელია გამოიყოს თანხა - 1 კვ. მ -ზე 250 (ორას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით;

პროგრამა არ ითვალისწინებს საცხოვრებელი ბინით/ბინებით იმ მრავალშვილიანი ოჯახების უზრუნველყოფას, რომლებსაც საქველმოქმედო ორგანიზაციის ან სახელმწიფო ორგანოების მიერ საკუთრებაში საცხოვრებელი ბინა უკვე გადაეცათ ან თუკი საკუთრებაში გააჩნიათ საცხოვრებელი ფართი 100,0 კვ.მ. და

მეტი. თანაბარი პირობების მქონე ოჯახებს შორის უპირატესობა მიენიჭება სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონე ოჯახს;

პროგრამის ბენეფიციარ ოჯახს საკუთრების უფლების მოწმობის მიღებიდან მომდევნო 10 წლის განმავლობაში ეკრძალება საკუთრებაში გადაცემული ბინის/ბინების გაყიდვა, გაქირავება, უფლებრივად დატვირთვა ან სხვა ნებისმიერი ფორმით განკარგვა;

პროგრამით სარგებლობა შეუძლიათ იმ მრავალშვილიან ოჯახებს, რომლებიც 2018 წლის 1 იანვრამდე დარეგისტრირდნენ მერიის შესაბამისი სამსახურის მონაცემთა ბაზაში.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას 2020 წლის 20 აგვისტოს №14826/25; 2020 წლის 26 აგვისტოს №15344/25; 2020 წლის 18 დეკემბერს №19/1420353178-14 და 2020 წლის 21 დეკემბერს №19/142035646-14 განცხადებებით მომართეს: ივანე სიჭინავამ, ნესტან მამულაძემ, ირმა დევაძემ და თამარ კოკობინაძემ და მოითხოვეს მრავალშვილიანი ოჯახების საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში საცხოვრებელი ფართებით უზრუნველყოფა. განცხადებაზე თანდართული დოკუმენტაციით დასტურდება, რომ ივანე სიჭინავას, ნესტან მამულაძეს, ირმა დევაძეს და თამარ კოკობინაძეს (მეუღლე) ჰყავთ თითო ოჯახს 7-7 შვილი, რის დასადასტურებლადაც წარმოდგენილი იქნა დაბადების მოწმობები. ამასთან, დადასტურებულია ის გარემოება, რომ მრავალშვილიანი ოჯახების უფროსი შვილების ასაკი არ აღემატება 24 წელს. გარდა აღნიშნულისა, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის 2020 წლის 25 აგვისტოს №4809-25, 07 სექტემბრის №5097-25 წერილებით დასტურდება, რომ როგორც მრავალშვილიანი (7და მეტი შვილი) ოჯახები ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურში იმყოფება აღრიცხვაზე. შესაბამისად, აღნიშნული ოჯახი აკმაყოფილებს ქვეპროგრამის კრიტერიუმებს.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული 2020 წლის 16 დეკემბრის №506414; 2020 წლის 17 დეკემბრის №508234; 2020 წლის 18 დეკემბრის №509799 და 2020 წლის 21 დეკემბრის №513299 წერილის შესაბამისად ასევე დასტურდება, რომ ზემოთაღნიშნულ მრავალშვილიანი ოჯახების სახელზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე არ არის რეგისტრირებული.

**სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:**

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 16  
არ ესწრებოდა: 1(ა. დევაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 16

წინააღმდეგი - 0

**და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.**

ქალაქ ბათუმის მერის მოვალეობის შემსრულებელმა არჩილ ჩიქოვანმა დღის წესრიგით გათვალისწინებულ ბოლო ორ საკითხთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ძალიან მნიშვნელოვანი და ჰუმანური გადაწყვეტილებაა, მაგლობა ამ წესში ცვლილებისა და მხრდაჭერისათვის. ბუნებრივია ეს გაგრძელდება მომავალ წლებში იმ მოცემულობით, რაც აქვთ და შეეცდება, რომ დაიწიოს ის ცენზი არსებული რესურსის შესაბამისად.

სხდომის თავმჯდომარემ - სულიკო თებიძემ საკრებულოს რიგგარეშე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

სულიკო თებიძე

ოქმის სისწორეს  
ვადასტურებ:

რ. ბოლქვაძე – საკრებულოს აპარატის  
უფროსი

ვიზირებულია:

ი.თავართქილაძე – საკრებულოს აპარატის იურიდიული  
განყოფილების უფროსი

მ. თურმანიძე – ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს საქმისწარმოებისა და  
ადამიანური რესურსების მართვის  
განყოფილების უფროსი

ოქმი შეადგინა:

მ. წულუკიძე – ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს საქმისწარმოებისა და  
ადამიანური რესურსების მართვის  
განყოფილების უფროსი სპეციალისტი,  
სხდომის მდივანი